



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კახიანი იმედა ვლადიმერის ძე



ი. კახიანი

კახიანი იმედა ვლადიმერის ძე (დ. 12. V. 1937, სოფ. ეწერი, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), კინომსახიობი. საქართველო. სახ. არტისტი (1979). 1959 დაამთავრა შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. ინ-ტში სწავლისას შეასრულა მთავარი როლები ფილმში „საბუდარელი ჭაბუკი“ (გოგიტა; რეჟ. შ. მანაგაძე, 1957) და სატელევიზიო ნოველაში „დედის ხელი“ (ზაზა; რეჟ. მ. ჯალიაშვილი, 1959). მნიშვნელოვანი როლებია: გელა („თეთრი

ქარავანი“; რეჟ. თ. მელიაშვილი, 1963), პიერი („პიერი – მილიციის თანამშრომელი“, რეჟ. დ. რონდელი, 1965), პლატონ სამანიშვილი („სამანიშვილის დედინაცვალი“, რეჟ. ე. შენგელაია, 1977), ერმილე („სიცოცხლე, ერმილე!“, რეჟ. ნ. სანიშვილი, 1977), გოგი წულაძე („დათა თუთაშხია“, რეჟ. გ. ლორთქიფანიძე, გ. გაბესკირია, 1978), ანდრო („მიზანი“, რეჟ. გ. ხოჯაშვილი, 1979), ისიდორე ბუაძე („მოცურავე“, რეჟ. ი. კვირიკაძე, 1981), ბაჩანა („მარადისობის კანონი“, რეჟ. ვ. კვაჭაძე, 1982); მონაწილეობს ფილმებში: „განაჩენი“ (რეჟ. ლ. ხოტივაშვილი, 1959), „პაპა გიგია“ (რეჟ. ზ. გუდავაძე, 1960), „უყაიმო თამაში“ (რეჟ. ი. ქავთარაძე, 1966), „ჩაძირული ქალაქის მადიებელნი“ (რეჟ. დ. აბაშიძე, 1972), „მთვარის მოტაცება“ (რეჟ. თ. მელიაშვილი, 1973), „გაქცევა გათენებისას“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1975), „გმადლობთ, რატილი“ (რეჟ. გ. კალატოშვილი, 1983), „ელისა და რარუს თავგადასავალი“ (რეჟ. გ. პეტრიაშვილი, 1986), „ზღვის მაშვრალნი“ (რეჟ. ე. სეშანი, გ. გაბესკირია, 1986), „შავი მერცხალი“ (რეჟ. თ. დულარიძე, 1986), „დღიურის ჩანაწერები“ (რეჟ. ლ. ერისთავი, 1986), „ფარანი ქარში“ (რეჟ. ნ. ოშიაძე, 1987), „ომი ყველასათვის ომია“ (რეჟ. დ. აბაშიძე, 1990), „მხოლოდ სიკვდილი მოდის აუცილებლად“ (რეჟ. მ. წურწუმია, 1992), „წარსულის აჩრდილები“ (რეჟ. ლ. თუთბერიძე,

1996); „სავარძელი" (რეჟ. ე. შენგელაია, 2017) და სხვ. იღებდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების ფილმებში: „აფეთქებული ჯოჯოხეთი" (არჩილ ტატიშვილი; რეჟ. ი. ლუკინსკი, 1967, „მოსფილმი"), „24-25 არ ბრუნდება"(მილიციის კაპიტანი; რეჟ. ა. ბრენჩი, რ. გორიაევი, 1969; ლატვია); „ლერმონტოვი"(ალექსანდრე ჭავჭავაძე; რეჟ. ნ. ბურლიაევი, 1986, რუსეთი) და სხვ. მისი საშემსრულებლო მანერა გამოირჩევა დახვეწილი აქტიორული ოსტატობით, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, თბილი იუმორით.

მ. კერესელიძე
